1. სად შემიძლია გავასაჩივრო ჯარიმის შესახებ გადაწყვეტილება?

- დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ ან (1) ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან (2) პირდაპირ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.[1]

2. ვინ არის ზემდგომი თანამდებობის პირი?

- ზემდგომ თანამდებობის პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც თანამდებობრივად ხელმძღვანელობს პოლიციის იმ თანამშრომელს, რომელმაც დაგაჯარიმათ. თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრი ითვლება ყველა პოლიციელის ზემდგომ თანამდებობის პირად, ამიტომ გასაჩივრების პროცესის თქვენთვის გამარტივების მიზნით, საჩივარი უშუალოდ მინისტრის სახელზე შეგიძლიათ წარადგინოთ.

3. რა ვადაში უნდა გავასაჩივრო ჯარიმა თუ ვასაჩივრებ სასამართლოში?

– თუ ასაჩივრებთ პირდაპირ სასამართლოში, საჩივრის წარდგენის ვადა გაქვთ ჯარიმის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღეში.[2]

4. სასამართლოს შემიძლია მივმართო საგანგებო მდგომარეობის დროსაც?

- დიახ. თუ გსურთ არ გამოიყენოთ ზემდგომი თანამდებობის პირთან გასაჩივრების უფლება და პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს, მაშინ ეს უნდა გააკეთოთ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მოქმედების მიუხედავად.

5. თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს ჩემს საჩივარს, რამდენ ხანში უნდა გადავიხადო ჯარიმა?

---

[1] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 272., ნაწ. 1., ქვეპ. „ა“.
[2] იქვე. მუხ. 273., ნაწ. 1.

- სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.[3] ამ შემთხვევაში, ჯარიმის გადახდის ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი გაქვთ, საგანგებო მდგომარეობა ისევ ძალაში იქნება თუ არა.

6. რას ნიშნავს ჯარიმის შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარება?

- ჩაბარება ნიშნავს დოკუმენტის ფაქტობრივ მიღებას. პოლიციელი ე.წ. ჯარიმის ქვითარს გაბარებთ ადგილზევე.[4] იმ შემთხვევაში თუ თქვენ უარს განაცხადებთ გადაწყვეტილების ჩაბარებაზე, ეს მაინც ჩაითვლება გადაწყვეტილების ჩაბარებად.

7. რა ვადაში უნდა გავასაჩივრო ჯარიმა თუ ჯერ ვასაჩივრებ ზემდგომი თანამდებობის პირთან?

- საგანგებო მდგომარეობის დროს ამ მიმართულებით განსხვავებული წესებია დადგენილი და თქვენ უფლება გაქვთ ჯარიმა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ გაასაჩივროთ,[5] 10 დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა გასაჩივრების პროცედურების დასრულების შემდეგ.

8. თუ ზემდგომი თანამდებობის პირი არ დააკმაყოფილებს ჩემს საჩივარს რა შემიძლია დამატებით გავაკეთო?

- ამ შემთხვევაში უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს. თუ პირველი ინსტანციის სასამართლო (საქალაქო/რაიონული სასამართლო) არ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას, შეგიძლიათ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოშიც გაასაჩივროთ. და ამით გასაჩივრების პროცედურა ამოიწურება.

---

[3] იქვე. მუხ. 290, ნაწ. 1.
[4] იქვე. მუხ. 234[1].
[5] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება, მუხ. 1, პუნქ. 1. საგანგებო მდგომარეობის დროს, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მიხედვით, შეჩერებულია კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები.

9. თუ არ ვაპირებ ჯარიმის გასაჩივრებას, როდის მაქვს გადახდის ვალდებულება?

- თუ არ აპირებთ ჯარიმის გასაჩივრებას არც სასამართლოში და არც ზემდგომი თანამდებობის პირთან, ჯარიმის გადახდის შესაძლებლობა გაქვთ ახლავე, თუმცა, არაუგვიანეს საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 30 დღისა.

10. მაქვს თუ არა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება?

– საჩივრის შეტანისა და საქმის განხილვის დროს უფლება გაქვთ ისარგებლოთ ადვოკატის დახმარებით.[6] ხოლო იმ ეტაპზე, როდესაც პოლიციელი იღებს თქვენი დაჯარიმების გადაწყვეტილებას, ადვოკატის ადგილზე არ ყოფნა არ აჩერებს ამ პროცედურას და არ წარმოადგენს თქვენი დაჯარიმების შემაფერხებელ გარემოებას.

11. ჯარიმის გასაჩივრებისა და გადახდის ზემოთ განმარტებული წესები მოქმედებს მხოლოდ კარანტინის ან/და იზოლაციის წესების დარღვევაზე?

- დიახ. თუ თქვენ ჩაიდენთ სხვაგვარ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ან დანაშაულს, დაგეკისრებათ დამატებითი პასუხისმგებლობა. მაგალითად, თუ თქვენ დაჯარიმების პროცესში არ დაემორჩილებით პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, ეს დამატებით გამოიწვევს დაჯარიმებას ან/და შეიძლება მოჰყვეს შედეგად პატიმრობასაც კი.

12. თუ კარანტინის ან/და იზოლაციის წესებს მეორედ დავარღვევ ისევ ადმინისტრაციული წესით დავჯარიმდები?

- არა. ამ შემთხვევაში თქვენს მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი პროცედურები. განმეორებითი ქმედება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. დღეის მდგომარეობით, ამისთვის გათვალისწინებულია 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.[7] ხოლო საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2 მაისის შემდეგ

---

[6] იქვე, მუხ. 252, ნაწ. 1.

[7] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 8.

ჩადენილი იგივე ქმედება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 წლამდე ვადით.[8] თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ წესების განმეორებით დამრღვევ ყველა პირს ავტომატურად დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა მაქსიმალური ვადით (3 ან 6 წლით), არამედ საქმე გადაეცემა სასამართლოს, რომელიც ინდივიდუალურად შეაფასებს თქვენ მიერ ჩადენილ ქმედებას, მის სიმძიმეს, საშიშროებას, თქვენს ბრალეულობას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, მათ შორის, თქვენი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში სასამართლო იმსჯელებს სასჯელის ინდივიდუალურ ზომაზე.

[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 359[1].